ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #65

ქ.ქუთაისი 20.09.2019წ.

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მურად ჯიშკარიანის სახით (შემდგომში – „დამკვეთი") და მეორე მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე თენგიზ ხარაბაძის სახით ს/კ 60001076455 (შემდგომში – „შემსრულებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 2 ცალი ლაზერული პრინტერის (A3,A4 ფორმატის მულტიფუნქციური ADF) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ
CPV-30232110

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება 1600 (ერთიათასექვსასი) ლარს და 00 თეთრს
2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მომსახურეობის მიღების ადგილი და ვადა

1. მომსახურეობის მიღების ადგილია ქ.ქუთაისი გ.ტაბიძის N58.
2. მომსახურეობის მიწოდება ხორციელდება 2019 წლის 20 სექტემბრიდან 2019 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.
1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.
2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 20 სექტემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 ნოემბრის ჩაათვლით.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა მის. გ.ტაბიძე N58 ტელ. 0431272928 ს/კ 212850155 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE08TB7544934020100001 **დირექტორი მურადი ჯიშკარიანი** _____ (ხელმოწერა)	ინ/მ თენგიზ ხარაბაძე მის. ქ.ქუთაისი კ.ტყაბლაძის ქ. N56 ტელ: 577-675-217 ს/კ 60001076455 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ საბანკო კოდი: LBRTGE22 ა/ა GE66LB0112126270579000 **ი/მ თ.ხარაბაძე** _____ (ხელმოწერა)

ბ.ა

Tengiz Kharabadze

Digitally signed by Tengiz Kharabadze
Date: 2019.09.20 19:32:22 +04'00'

ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად